

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №37
2019 წლის 17 ოქტომბერი

დაბა ადიგენი

„ადიგენის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ადიგენის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №80 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/12/2018, 190020020.35.137.016430), კერძოდ:

დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

იმედა მღებრიშვილი

დანართი

თავი I

ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

თანხა ათას ლარებში

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	7 379,0	3 069,7	4 309,3	7 479,2	2 906,6	4 572,6	9 865,1	4 606,7	5 258,4
გადასახადები	893,5	0,0	893,5	582,3	0,0	582,3	4 500,6	0,0	4 500,6
გრანტები	5 877,2	3 069,7	2 807,5	6 284,1	2 906,6	3 377,5	4 743,7	4 606,7	137,0
სხვა შემოსავლები	608,3	0,0	608,3	612,8	0,0	612,8	620,8	0,0	620,8
ხარჯები	3 207,4	150,6	3 056,8	3 981,8	545,7	3 436,1	5 132,7	407,0	4 725,7
შრომის ანაზღაურება	875,3	0,0	875,3	1 052,9	0,0	1 052,9	1 296,5	0,0	1 296,5
საქონელი და	1 005,7	108,6	897,1	755,3	0,0	755,3	1 378,7	342,6	1 036,1



მომსახურება									
პროცენტი	0,0	0,0	0,0	52,5	0,0	52,5	49,9	0,0	49,9
სუბსიდია	820,7	0,0	820,7	969,6	0,0	969,6	1 357,3	0,0	1 357,3
გრანტები	30,0	0,0	30,0	40,0	0,0	40,0	82,0	0,0	82,0
სოციალური უზრუნველყოფა	211,5	0,0	211,5	223,4	0,0	223,4	341,6	0,0	341,6
სხვა ხარჯები	264,2	42,0	222,2	888,0	545,7	342,3	626,8	64,4	562,4
საოპერაციო საღდო	4 171,6	2 919,2	1 252,4	3 497,4	2 360,9	1 136,5	4 732,4	4 199,7	532,7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 202,0	3 016,1	1 185,9	2 238,4	2 318,1	- 79,7	6 878,7	4 199,7	2 679,0
ზრდა	4 260,7	3 016,1	1 244,6	3 022,0	2 318,1	703,8	8 243,9	4 199,7	4 044,2
კლება	58,7	0,0	58,7	783,5	0,0	783,5	1 365,3	0,0	1 365,3
მთლიანი საღდო	-30,4	-97,0	66,6	1 259,0	42,8	1 216,2	-2 146,3	0,0	-2 146,3
ფინანსური აქტივების ცვლილება	-115,4	-100,7	-14,7	1 259,0	42,8	1 216,2	-2 291,9	-129,6	-2 162,4
ზრდა	0,0	0,0	0,0	1 259,0	42,8	1 216,2	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	1 259,0	42,8	1 216,2	0,0	0,0	0,0
კლება	115,4	100,7	14,7	0,0	0,0	0,0	2 291,9	129,6	2 162,4
ვალუტა და დეპოზიტები	115,4	100,7	14,7	0,0	0,0	0,0	2 291,9	129,6	2 162,4
ვალდებულებების ცვლილება	-84,9	-3,7	-81,2	0,0	0,0	0,0	-145,7	-129,6	-16,1
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 11 230,4 ათასი ლარით, გადასახდელები 13 522,3 ათასი ლარი და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	7 437,7	3 069,7	4 367,9	8 262,7	2 906,6	5 356,1	11 230,4	4 606,7	6 623,7
შემოსავლები	7 379,0	3 069,7	4 309,3	7 479,2	2 906,6	4 572,6	9 865,1	4 606,7	5 258,4
არაფინანსური აქტივების კლება	58,7	0,0	58,7	783,5	0,0	783,5	1 365,3	0,0	1 365,3
გადასახდელები	7 553,0	3 170,4	4 382,6	7 003,7	2 863,8	4 139,9	13 522,3	4 736,3	8 786,1



ხარჯები	3 207,4	150,6	3 056,8	3 981,8	545,7	3 436,1	5 132,7	407,0	4 725,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 260,7	3 016,1	1 244,6	3 022,0	2 318,1	703,8	8 243,9	4 199,7	4 044,2
ვალდებულებების კლება	84,9	3,7	81,2	0,0	0,0	0,0	145,7	129,6	16,1
ნაშთის ცვლილება	-115,3	-100,7	-14,7	1 259,0	42,8	1 216,2	-2 291,9	-129,6	-2 162,4

თავის II

ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 9 865,1 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	7 379,0	3 069,7	4 309,3	7 479,2	2 906,6	4 572,6	9 865,1	4 606,7	5 258,4
გადასახადები	893,5	0,0	893,5	582,3	0,0	582,3	4 500,6	0,0	4 500,6
გრანტები	5 877,2	3 069,7	2 807,5	6 284,1	2 906,6	3 377,5	4 743,7	4 606,7	137,0
სხვა შემოსავლები	608,3	0,0	608,3	612,8	0,0	612,8	620,8	0,0	620,8

მუხლი 4. ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 4 500,6 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	893,5	0,0	893,5	582,3	0,0	582,3	4 500,6	0,0	4 500,6
საშემოსავლო გადასახადი	740,5	0,0	740,5	234,9	0,0	234,9	0,0	0,0	0,0
დამატებული ღირებულების გადასახადი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	4 300,6	0,0	4 300,6
ქონების გადასახადი	152,9	0,0	152,9	347,4	0,0	347,4	200,0	0,0	200,0



საქართველოს საწარმოთა კონეზაზე (გარდა მიწისა)	23,4	0,0	23,4	224,3	0,0	224,3	191.0	0.0	191.0
ფიზიკურ პირთა კონეზაზე (გარდა მიწისა)	4,1	0,0	4,1	4,9	0,0	4,9	4.0	0.0	4.0
სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	8,5	0,0	8,5	7,6	0,0	7,6	3.5	0.0	3.5
არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	116,9	0,0	116,9	110,6	0,0	110,6	1.5	0.0	1.5

მუხლი 5. ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4 743,7 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
გრანტები	5 877,2	6 284,1	4 743,7
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	5 877,2	6 284,1	4 743,7
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2 807,5	3 377,5	137,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	2 670,5	3 240,5	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	137,0	137,0	137,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3 069,7	2 906,6	4 606,7

მუხლი 6. ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 620,8 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	608,3	612,8	620,8
შემოსავლები საკუთრებიდან	379,8	422,6	405,2
პროცენტი	77,2	132,4	160,2



რენტა	302,6	290,2	245,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	278,2	264,2	220,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	24,4	26,0	25,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	138,1	75,0	70,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	137,0	17,7	130,6
სანებართვო მოსაკრებელი	106,1	37,1	90,6
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	22,2	27,7	30,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,2	0,1	0,0
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	29,0	0,0	0,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	59,5	71,0	85,0

თავი III

ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5 132,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3 207,4	150,6	3 056,8	3 981,8	545,7	3 436,1	5 132,7	407,0	4 725,7
შრომის ანაზღაურება	875,3	0,0	875,3	1 052,9	0,0	1 052,9	1 296,5	0,0	1 296,5
საქონელი და მომსახურება	1 005,7	108,6	897,1	755,3	0,0	755,3	1 378,7	342,6	1 036,1
პროცენტი	0,0	0,0	0,0	52,5	0,0	52,5	49,9	0,0	49,9
სუბსიდიები	820,7	0,0	820,7	969,6	0,0	969,6	1 357,3	0,0	1 357,3
გრანტები	30,0	0,0	30,0	40,0	0,0	40,0	82,0		82,0
სოციალური უზრუნველყოფა	211,5	0,0	211,5	223,4	0,0	223,4	341,6	0,0	341,6
სხვა ხარჯები	264,2	42,0	222,2	888,0	545,7	342,3	626,8	64,4	562,4

მუხლი 8. ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება



განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6 878,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8 243,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	3,5	13,9	239,6
01 01	ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო	3,4	6,3	7,7
01 02	ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია	0,2	7,6	231,9
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4 256,1	3 007,6	7 614,8
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	2 434,4	2 485,2	4 036,4
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 191,0	177,1	890,0
03 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია	554,7	43,9	139,8
03 02 02	საკანალიზაციო სისტემები	0,0	1,3	78,1
03 02 04	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	56,7	60,8	116,1
03 02 05	სარწყავი არხების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და საგუბრების მშენებლობა-რეაბილიტაცია	51,7	22,4	70,0
03 02 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	523,7	42,7	469,3
03 02 08	შენობა-ნაგებობების გამრიცხველიანება	4,2	2,0	16,7
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	523,2	349,2	2 080,5
03 03 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება-გამაგრება	199,9	104,8	591,1
03 03 02	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი	128,2	165,8	722,7
03 03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები	195,1	78,6	766,7
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	107,0	0,0	608,0
04 00	განათლება	0,0	0,0	339,5
04 04	საჯარო სკოლების მცირედი სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა	0,0	0,0	339,5



05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1.0	0,5	50,0
05 02 01	ა(ა)იპ ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკა	1,0	0,5	0.0
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა			50,0

ბ) განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 1 365,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	58,7	783,6	1 365,3
ძირითადი აქტივები	24,4	2,7	1 249,0
არაწარმოებული აქტივები	34,3	780,8	116,3
მიწა	34,3	780,8	116,3

მუხლი 9. ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა		
		სულ	სულ	სულ	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 521,7	1 582,9	2 272,1	0.0	2 272,1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 521,7	1 582,9	2 272,1	0.0	2 272,1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 462,2	1 529,7	2 142,2	0.0	2 142,2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	59,5	53,2	129.9	0.0	129.9
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
	ჯალთან დაკავშირებული					



7016	ოპერაციები	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	60,7	70,2	82,1	0.0	82,1
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 943,2	3 582,9	7 834,7	4 148,1	3 686,6
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
70422	სატყეო მეურნეობა	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	2 496,9	2 524,8	4 233,6	2 515,8	1 717,8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 496,9	2 524,8	4 233,6	2 515,8	1 717,8
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0,0	0,0	12,0	0,0	12,0
70473	ტურიზმი	0,0	0,0	12,0	0,0	12,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1 446,3	1 058,0	3 589,1	1 632,2	1 956,9
705	გარემოს დაცვა	34,1	1,3	78,1	0.0	78,1
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	34,1	0,0	0.0	0.0	0.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0,0	1,3	78,1	0.0	78,1
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	977,5	597,8	961,2	6,2	955,0
7061	ბინათმშენებლობა	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
7063	წყალმომარაგება	628,1	159,0	306,1	6,2	299,9
7064	გარე განათება	211,6	221,4	310,5	0.0	310,5
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	137,7	217,5	344,6	0.0	344,6
707	ჯანმრთელობის დაცვა	65,0	71,5	71.7	0.0	71.7
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	65,0	71,5	71.7	0.0	71,7
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	335,7	594,2	744,0	0.0	744,0
7081	მომსახურება დასვენებისა და	85,8	168,9	168,9	0.0	168,9



	სპორტის სფეროში					
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	128,6	205,3	205,3	0.0	205,3
7086	დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	121,2	220,0	369,8	0,0	369,8
709	განათლება	366,6	428,5	1 099,3	582,1	517,3
7091	სკოლამდელი აღზრდა	363,7	425,5	514,3	0.0	514,3
7092	ზოგადი განათლება	3,0	3,0	3.0	0.0	3,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	3.0	0.0	3,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0,0	0,0	582,1	582,1	0,0
710	სოციალური დაცვა	248,6	262,3	379,2	0.0	379,2
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	170,8	166,6	244,0	0.0	244,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	150,9	149,5	220,0	0.0	220,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	20,0	17,1	24,0	0.0	24,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	32,3	33,9	36,8	0.0	36,8
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0,0	0,0	0.0	0.0	0.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	45,4	61,8	98,4	0.0	98,4
	სულ	7 553,0	7 003,7	13 522,3	4 736,3	8 786,1

თავი IV

ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი და საოპერაციო სალდო თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წელი ფაქტი	2018 წელი ფაქტი	2019 წელი გეგმა
საოპერაციო სალდო	4 171,6	3 497,4	4 732,4
მთლიანი სალდო	-30,4	1 259,0	- 2 146,3



მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 2 291,9 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წელი ფაქტი	2018 წელი ფაქტი	2019 წელი გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-115,4	1 259,0	-2 291,9
კლება	115,4	0,0	2 291,9
ზრდა	0,0	1 259,0	0,0

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 2 291,9 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -145,7 ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წელი ფაქტი	2018 წელი ფაქტი	2019 წელი გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	-84,9	0,0	-145,7
ზრდა	0,0	0,0	0,0
კლება	84,9	0,0	145,7

2. განისაზღვროს ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2019 წელს 49 889 ლარით.

კრედიტორი		საპროგნოზო ნაშთი 31.12.2019
სულ მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ზღვრული მოცულობა		49.889
1	მუნიციპალური განვითარების ფონდი	49.889

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 80,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 137,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 71,7 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 65,3 ათასი ლარი.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა



მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V

ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები 2019-2022 წლებში

მუხლი 16. ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

v. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

v. წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

v. განათლება

v. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

v. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

v. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4 954,8	4 181,9	8 862,0	2 808,5	4 009,1	5 622,2
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	2 496,9	2 524,8	4 233,6	591,1	1 075,2	1 370,2
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1 782,5	685,2	1 635,2	1 253,6	1 497,1	2 250,2
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	567,8	972,0	2 245,2	559,8	1 436,8	2 001,8
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები			748,0			

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებულ დაბეზში საცხოვრებელ უბნებში ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა საასმელი წყლის სისტემების მოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების რეაბილიტაცია, დაზიანებული გზების და ხიდების შეკეთება, ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა ზამთრის სეზონზე.



მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- ეკონომიკური და ტურისტული ინტენსივობის ზრდა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობა;
- ტურისტების რაოდენობა.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია, სანიაღვრე არხების და კოლექტორების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- განათებული მუნიციპალიტეტი;
- გაუმჯობესებული სანიტარიული პირობები;
- გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე და მიწაზე ზედამხედველობის გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპლოატაციაში არსებული სანათი წერტილების რაოდენობა;
- ექსპლოატაციაში არსებული სანაგვე ურნების რაოდენობა
- გატანილი ნარჩენების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;
- რეგისტრირებული შენობა-ნაგებობების და მიწის რაოდენობა

1.2.1 წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება და მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლებისა და დაბების მომსახურებაში მყოფი სასმელი წყლის არსებული ბასეინებისა და ქსელების რეაბილიტაცია.

1.2.2 საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაცია

1.2.3 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარიული ნორმების დაცვა. ამ მიზნით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტისათვის ურნების შესყიდვა რაც გააუმჯობესებს დასახლებული პუნქტების სანიტარიულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

1.2.4 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04) უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის განათება. რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია აგრეთვე განათების ახალი ქსელის გაყვანა დამონტაჟება.

1.2.5 სარწყავი არხების ნაპირსამაგრი ნაგებობების და საგუბრების მშენებლობა რეაბილიტაცია, (პროგრამული კოდი 03 02 05)



აღნიშნული პროგრამის მიზანია გაზაფხულზე ადიდებული მდინარეებისაგან მოსახლეობის კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთების დატბორვისა და წალეკვისაგან დაცვა, აგრეთვე რწყვის სეზონისათვის არსებული სარწყავი არხების მზადყოფნაში მოყვანა-რეაბილიტაცია.

1.2.6. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება - მლაშე-მოხე-დერცელი-კიკიბოს დამაკავშირებელი სტიქიისაგან დაზიანებული გზის რეაბილიტაცია აგრეთვე ადიგენის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების, აგრეთვე მიმდებარედ არსებული მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, სტიქიის დროს შესასრულებელი გაწმენდა/აღდგენის სამუშაოები, და სხვადასხვა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები.

1.2.7. შენობა ნაგებობების გამრიცხველიანება (პროგრამული კოდი 03 02 08)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების გამრიცხველიანება რომლებიც საჭიროებენ მრიცხველის დამონტაჟებას.

1.2.7 ა(ა)იპ ადიგენის დასუფთავების სამსახური (პროგრამული კოდი 03 02 09)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის დაბებში დაგვა-დასუფთავება რაც აუმჯობესებს სანიტარიულ ჰიგიენურ მდგომარეობას, აგრეთვე შეგროვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა.

1.2.8 ა(ა)იპ ადიგენის წყალმომარაგება (პროგრამული კოდი 03 02 10)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის ქსელის კომპლექსური მომსახურება; არსებული წყლის სისტემის ფუნქციონირებისათვის სარემონტო სამუშაოების შესრულება, აგრეთვე სოფლებში სარწყავის სისტემების მოწერიგება-მოვლა.

1. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა, შეკეთება, რეაბილიტაცია. რაც აუმჯობესებს ინფრასტრუქტურულ მდგომარეობას მუნიციპალიტეტში.

1.3.1 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების შეკეთება გამაგრება (პროგრამული კოდი 03 03 01)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საცხოვრებელი მრავალბინიანი კორპუსების შეკეთება, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია, მათ შორის საბავშვო ბაღები, სოფლებში ადმინისტრაციული შენობები. და ა.შ.

1.3.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და საკადასტრო აზომვითი ნახაზების შედგენის, საექსპერტო მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 03 02)

მუნიციპალიტეტი იღებს ხარჯებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში გეოლოგიური კვლევის წარმოების ხარჯებს, ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება.

1.3.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცირე ინფრასტრუქტურული ღონისძიებები მ.შ. პარკების და სკვერების რეაბილიტაცია.

1.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებით სხვადასხვა პროექტების.



2. წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ადიგენის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება, სარეზერვო ფონდისა და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფინანსება.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1 521,7	1 582,9	2 272,1	1 962,3	1 962,3	1 962,3
01 01	ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო	439,9	491,0	558,5	534,6	534,6	534,6
01 02	ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია	1 022,2	1 038,6	1 583,7	1 278,3	1 278,3	1 278,3
01 03	სარეზერვო ფონდი	0,0	0,0	80,0	80,0	80,0	80,0
01 04	წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა	59,5	53,2	49,9	69,4	69,4	69,4

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	366,6	428,5	1 099,3	580,2	580,2	610,2
04 01	სკოლამდელი განათლება	363,7	425,5	514,3	580,2	580,2	610,2
04 02	სასკოლო ღონისძიებები	3,0	3,0	3,0	0,0	0,0	0,0
04 03	სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა	0,0	0,0	242,6	0,0	0,0	0,0
04 04	საჯარო სკოლების მცირედი სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა	0,0	0,0	339,5	0,0	0,0	0,0

3.1 ააიპ – ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 9 საბავშვო ბაღი. აღნიშნული ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის



გაუმჯობესებას. ასევე ხდება ბაღების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა
- საბავშვო ბაღებში გაუმჯობესებული საადმინისტრაციო პროცესი

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული ბაღების რაოდენობა
- აღსაზრდელთა რაოდენობა

3.2 სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

3.3 საჯარო სკოლების მცირედი სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ადიგენის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირედი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	335,7	406,4	756,0	395,9	411,9	418,9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	85,8	93,6	168,9	150,4	150,4	150,4
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	128,6	133,5	205,3	215,5	215,5	215,5
05 03	ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა და სხვადასხვა ღონისძიებები	21,2	19,3	85,1	30,0	46,0	53,0
05 04	ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვისა და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	100,0	160,0	284,7	0,0	0,0	0,0
05 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	0,0	0,0	12,0	0,0	0,0	0,0

4. სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ადიგენის კომპლექსური სასპორტო სკოლის(ფეხბურთის, ჭიდაობის, და



რაგბის ასაკობრივი ჯგუფებით) ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. მოხდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება სასპორტო სკოლის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას. ასევე ამ პროგრამის ფარგლებში ხდება სპორტული შენობა-ნაგებობების აშენება-რეაბილიტაცია და ინვენტარიზაცია და სხვადასხვა რაიონული სპორტული ღონისძიებების დაფინანსება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა ტურნირებზე წარმატებული სპორტსმენების და გუნდების რაოდენობა
- სპორტულ სახეობებში ჩართული მოსწავლეთა რაოდენობა
- სპორტულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა

4.1.1 ააიპ ადიგენის კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01)

2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები:

- მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ჩემპიონატი ფეხბურთში;
- მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობა ჭიდაობაში;
- რაგბის გუნდი ჭულე-ადიგენის მონაწილეობა რეგიონალურ ფესტივალზე;
- მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში;
- რაგბის გუნდი ჭულე-ადიგენის მონაწილეობა საქართველოს პირველობაზე (ზ ლიგა)

4.1.2 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სამცხე -ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი, რომლის მიზანია რაგბის როგორც სპორტის პოპულარიზაცია, და მისი განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, პროფესიული რაგბის დამკვიდრება და განვითარება.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი პროგრამები. 2019 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ააიპ ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკა, ააიპ ადიგენის სამუსიკო სკოლა, ააიპ ადიგენის კულტურის ცენტრი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობაში ქართული კულტურისა და ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება;
- მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;
- კულტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება და დაცვა.
- მოსახლეობაში წიგნიერების ამაღლება
- შედეგების შეფასების ინდიკატორები:
 - ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
 - რეაბილიტირებული კულტურული ობიექტების რაოდენობა;
 - კულტურული ღონისძიებების რაოდენობა
 - კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.
 - ბიბლიოთეკებში მკითხველთა რაოდენობა

4.2.1 ააიპ ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 01)

ზემო აღნიშნული ქვეპროგრამა ეხმარება ადიგენის მუნიციპალიტეტის მკითხველ მოსახლეობას გაეცნოს მისთვის საინტერესო როგორც ძველ ისე თანამედროვე ლიტერატურას. ხდება სხვადასხვა ლიტერატურული ღონისძიებების ჩატარება; ასევე აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ბიბლიოთეკების



ინვენტარიზაცია და ახალი წიგნების შეძენა, ასევე მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

4.2.2 ააიპ ადიგენის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 02)

პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსწავლეთა მუსიკის შესწავლა. ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 4 სახელოვნებო(მუსიკალურ) სკოლაში ამჟამად საერთო კურირებას უწევს ააიპ „ადიგენის მუსიკალური სკოლა“. გარდა მუსიკალური განათლების მიღებისა, მათი მიზანია ჩაატარონ სხვადასხვა სახის ღონისძიებები კერძოდ: საახალწლო და საგაზაფხულო კონცერტები, ასევე პიესების კონკურსი.

4.2.3 ააიპ – ადიგენის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 03)

